საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ელელიძეები

ელელიძეები, სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტის დეკანაშვილების თემში (აჭარის არ), მდ. აჭარისწყლის მარცხ. ნაპირას. ზ. დ. 840 მ, ხულოდან 4 კმ. 173 მცხ. (2002). სოფელში არის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახ. სას. სასწავლებელი, აბუსერისძე ტბელის სახ. გიმნაზია. სოფლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლ. მასალით დასტურდება, რომ ადამიანს აქ ჯერ კიდევ ანტ. ხანაში უცხოვრია. სოფელს სახელი უწოდეს ელელიძეების საგვარეულოს მიხედვით.